

საქართველოს კანონი

„ვეტერინარიის შესახებ“ საქართველოს კანონში დამატებების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „ვეტერინარიის შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს პარლამენტის უწყებები, 1994-1995, 27-30, მუხ. 635) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

კანონის 42¹ მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 42¹ ვეტერინარული კონტროლი გარდამავალ პერიოდში

1. ამ კანონით გათვალისწინებული ვეტერინარული კონტროლი 2013 წლის 31 დეკემბრამდე განხორციელდეს მხოლოდ:

ა) აგრარულ ბაზრებზე;

ბ) პროდუქციის საქართველოში შემოტანისას, თუ ცნობილია, რომ პროდუქციის წარმოშობის ქვეყანაში გავრცელებულია ეპიდემიები ან ეპიზოოტიები;

გ) იმ სავაჭრო ობიექტებზე სადაც ხორციელდება არა ქარხნული (არაორგანიზებული) წესით დამზადებული ცხოველური წარმოშობის პროდუქტითა და ცხოველებით ვაჭრობა, მხოლოდ პირველადი გადაუმუშავებელი ცხოველური წარმოშობის პროდუქციის კონტროლის მიზნით;

დ) მეწარმის მოთხოვნის საფუძველზე, მის საკუთარ პროდუქციაზე;

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი